



## დამოუკიდებელი ინსპექტორის

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 02 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №2/19-3

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 03 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 05 მარტის №97/2-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ №-- საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 24 აპრილს.

#### 1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ არ გამოიყენა ის კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და მიიღო უკანონო განჩინება.

#### 2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 16 თებერვალს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა -- -- და მოითხოვა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების (საქმე №--) გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და რეესტრის ჩანაწერების გაუქმება. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 მაისის განჩინებით (მოსამართლე ---) -- -- განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2017 წლის 4 დეკემბერს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა -- -- და მოითხოვა ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების, -- სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის №-- და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 იანვრის №-- (კ-12) განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 08 დეკემბრის განჩინებით -- -- განცხადება საქმის

წარმოების განახლების შესახებ მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილული იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 03 იანვრის განჩინებით -- -- განცხადება არ დაკმაყოფილდა; განმცხადებელს - -- -- უარი ეთქვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების, -- სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის №-- და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 იანვრის №-- (კ-12) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნაზე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- -- 2018 წლის 26 იანვარს. საქმე -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 06 თებერვალს. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 08 თებერვლის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა -- -- კერძო საჩივარი; უცვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 03 იანვრის განჩინება. განჩინება მხარეებს გაეგზავნათ 2019 წლის 03 აპრილს.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევადგინოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შევადგინოთ შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. მოსამართლე შესაბამისი განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლეთა მიერ, მათი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე.

### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 24 აპრილის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

#### **გადაწყვეტა:**

-- -- №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, განჩინებების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
**დამოუკიდებელი ინსპექტორი**